

ტერორიზმის ძირითადი სახეები და განმაპირობებელი ფაქტორები

ნენე გელაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა

და ხელოვნების ფაკულტეტზე პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრის აკადემიური

ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ხელმძღვანელი: გიორგი სანიკიძე, პროფესორი, ისტორიის მეცნიერების
დოქტორი.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლების ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნენე გელაშვილი

2019 წელი

აბსტრაქტი

აღნიშნული ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს ტერორიზმის ძირითადი სახეები და განმაპირობებელი ფაქტორები. ამ მიზნით ნაშრომში განხილულია ის პრევენციული ღონისძიებები, რომელიც შემუშავებულია თანამედროვე სამყაროში განვითარებული სახელმწიფოების მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ტერორიზმი როგორც მოვლენა, მსოფლიოს ყველა ქვეყნის პრობლემა გახდა და უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. ტერორიზმი არის ფსიქოლოგიური, სოციალური და პოლიტიკური. ტერორიზმი ხშირად ასოცირდება მოვლენებთან, ეთნიკური სეპარატიზმი, რელიგიური ფანატიზმი, ექსტრემისტული მემარჯვენე მემარცხენე პოლიტიკური მოძრაობები, ყველა სახელმწიფოს მიზანია, რომ ზემოქმედების სხვადასხვა საშუალებები იპოვონ ტერორიზმის წინააღმდეგ. საქართველოს მაგალითზე და მისი ისტორიის გამო აუცილებელია გაანალიზდეს ყველა მოსალოდნელი საფრთხე. ტერორიზმის გამოვლენის ძირითადი სახეები ესენია: სოციალური, პოლიტიკური, ნაციონალური, რელიგიური და კრიმინალური. თანამედროვე ტერორიზმი არის დღევანდელ სამყაროში ყველა ქვეყნისთვის დიდი პრობლემა. მას ახასიათებს ტერორისტთა კავშირი ოფიციალურ სტრუქტურებთან, იგულისხმება ტერორისტთა მფარველობა ფინანსური და საინფორმაციო მხარდაჭერით. მსოფლიოს ტერორიზმით გამოწვეული ფართო მასშტაბიანი საგანგებო სიტუაციების შედეგად შექმნილი კრიზისის გამო, ყველა სახელმწიფო დგას დიდი პრობლემის წინაშე, საკმაოდ მნიშვნელოვანია კოლექტიური რეგიონალური, გლობალური უსაფრთხოება. ქვეყნები მათი დემოკრატიული ცხოვრების წესის ფარგლებში უნდა იცავდნენ თავიანთ ტერიტორიას, რათა შემდგომი განვითარება მოჰყვეს ყველა სხვა ღირებულებას. ნაშრომის ბოლოს, დასკვნის სახით, მოცემულია საკითხის ერთგვარი შეჯამება და მისი ანალიზი.

Abstract

The aim of this paper is to study the main types of terrorism and the factors that are responsible. For this purpose, the paper presents the preventive measures that have been developed by the developed countries in the modern world to combat terrorism. Terrorism as a phenomenon has become a problem for all countries of the world and a lot of people have died. Terrorism is psychological, social and political. Terrorism is often associated with events, ethnic Separatism, religious fanaticism, extremist right / left political movements, the goal of every state is to find various means of influence against terrorism. In the example of Georgia and its history, it is necessary to analyze all the expected threats. The main types of terrorism are: Social, political, national, religious and criminal. Modern terrorism is a big problem for every country in today's world. It is characterized by a terrorist union with official structures, which means terrorists' protection with financial and information support. Because of the crisis caused by the widespread ecological situations caused by the world's terrors, every state is facing a big problem and is very important for collective regional and global security. Countries should live within their democratic lifestyle in order to further develop all other values. At the end of the work, as a conclusion, there is a summary of the issue and its analysis.

Keywords: terrorism, fight against terrorism, international organizations, nationalist, leftist and religious terrorism.